საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მეხუთე | სამშაბათი, 26 მარტიამოგვისოვე 1919 წ. № 182 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართგამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

კინო-თეატრი. რუსთაველის პრ. № 21.
პირველი სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე.

დღეს 25, 26, 27 ჩვენს ეკრანზე ნაჩვენები იქნება ცნობილი სურათი მსახიობის ინტიმური ცხოვრებიდან

დასწიეთ ფარდა!..

პინო-ტრაგედია 6 დიდ ნაწილად.

მთავარ როლში **მაქსიმოვი** და ულამაზესი ქალი **ტერენი**. სურათი დადგმულია სახელმწიფო თეატრის მსახიობ მაქსიმოვის მიერ.

თბილისის სამინაწადმზომველო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მისაღები გაზოცდები პირველ გაეროვნებულ კლასში დაიწყება 8 სექტემბერს დილის 9 ნახ. საათზე.

შემომსვლელთათვის საჭიროა ქართული ენის ცოდნა (კითხვა და აზრის წერილობით გადაცემა).

გამოცდა არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ბუნებისმეტყველებაში ქართულ ენაზე მოხდება საქალაქო სასწავლებლების ანუ არსებულ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების 1872 წლის დებულების კურსით.

ოხოვნის მიცემა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე გუნიბის ქუჩა № 46.

1—164—1

გორჩალოს ნეიტრალი ზონა

დღეს კამათს არ იწვევს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ბორჩალოს ერთი ნაწილი სადავოთ გავიხადეთ, ხოლო მეორე ნაწილი სომხებს ხელში ჩაუგდეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა მთავრობამ თადარიგი დროზე ვერ დაიჭირა და მობილიზაციის გამოცხადება თორმეტი დღით დააშორა, სომხეთ—საქართველოს შორის სამხედრო ოპერაციის პირველ დაწყებას, რასაც თავის დროზედ დააფასებს მიუდგომელი ისტორია.

ბორჩალოს მაზრის ასეთი ვითარება ჩვენთვის აუტანელია და ყოველის ღონით უნდა ვეცადოთ ჩვენ მიერ წახდენილი საქმე, ჩვენვე გამოვასწოროთ. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია უნდა გარკვეული იყოს და მოქმედება—გაბედული. დღეს მორიგ საკითხად არის გადაქცეული, ინგლისის ჯარის წასვლის გამო, ბორჩალოს მაზრის ნეიტრალი ზონა, რომელიც ინგლისელთა პიკეტებს ეჭირა. ინგლისელები მიდიან; მათი პიკეტები თუ უკვე მოხსნილი არ არიან ბორჩალოს ამ ნაწილიდან, მალე მოიხსნებიან. იბადება სასწრაფო საჭიროება ამ ნაწილის ადმინისტრატიულ მოვლა-პატრონობის. ეს მომენტი გათვალისწინებული უნდა გვქონდეს. ხოლო ჩვენ საბუთი გვაქვს ვშიშობდეთ, რომ მთავრობის წრეებში ამაზედ ნაკლებად ზრუნავენ. წინდახედულობა გვაკლია. შარშან, ნოემბერში ოსმალეთის ჯარმა ახალციხე ახალქალაქთან ერთად ბორჩალოს სამხრეთი ნაწილი რომ დასცალა, მთავრობა რომ ფხიზლად ყოფილიყო და ცდილიყო ცარიელი ადგილი შეიარაღებული ძალით თვითვე დაეჭირა, როგორც ამ კუთხეთა ერთად-ერთ პატრონს, შესაძლოა, არც სომხეთ-საქართველოს ომი ყოფილიყო და მთელი ბორჩალოს მაზრაც ჩვენს ფაქტიურ განკარგულებაში იქნებოდა. მაგრამ მთავრობამ საამისო ფხა ვერ გამოიჩინა.

მას „გამორჩა" ეს მომენტი, რომელიც, სამაგიეროდ, სომხებმა ზედმიწევნით გამოიყენა. მყისვე შეიარაღებული ძალები დასძრა და ჩვენი ბორჩალოს სამხრეთი ნაწილი დაიჭირა. ამ გარემოებამ მას გაუადვილა მხოლოდ სამხედრო ოპერაციების გამართვა ჩვენ წინააღმდეგ ბორჩალოს დანარჩენი ნაწილის დასაპყრობად. მიზანს მიაღწია.

გარდა იმისა, რომ წინად დაჭერილ ტერიტორიას, ამ ომის წყალობით, კიდევ ახალი მიუმატა და შიგ ფაქტიურ მფლობელად ჩადგა, მეორე მოზრდილ ნაწილშიაც წილი დაიდო იმ გარემოებით, რომ ეს ნაწილი ნეიტრალ ზონად გამოცხადდა, რომელზედაც საქართველოს და სომხეთის როლი და გავლენა თანაბარ საფეხურზე ჩამოდგა. დღეს ეს ნეიტრალი ზონა თავისუფლდება იმ ძალისაგან, რომელიც მის ნეიტრალობას განასახიერებდა. ამ ზონას, რომელიც საქართველოს განუკვეთელი ნაწილია და მუდამ, ათას წლების სიგრძეზე, მისი სახელმწიფოებრივ-კულტურული მოქმედების სარბიელი იყო, ომის უფლების ძალით სომხეთს ვერ დაუთმობთ. ასეთივეა ჩვენი პოზიცია ამ ზონის სამხრეთით მდებარე ბორჩალოს ნაწილზედაც, ვიდრე ბეზობდალამდე, რომელიც დღეს სომხების ფაქტიურ მფლობელობაშია. თუ ამ უკანასკნელი ნაწილის მოგვარება კიდევ ცოტას დაიცდის, ინგლისისგან განთავისუფლებული ნეიტრალი ზონა კი დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს. და ეს პასუხი უნდა გამოითქვას ჩვენი ჯარის შეგზავნით და ჩვენი ადმინისტრაციის მოწყობით. ეს ზონა დაუყოვნებლივ და ყოველმხრივ საქართველოს უნდა შეუსხეულდეს. ჩვენ მოწყალების სახით ვერ ჩამოვარიგებთ მამა-პაპეულ სამკვიდრებელს და მემკვიდრეობით გადმოსულ ეროვნულ საკუთრებას სხვას ვერ გაუბოძებთ. მეზობლებთან ტრადიციულად კეთილმეზობლური განწყობილების გზას ვადგივართ, მაგრამ ჩვენს პოლიტიკაში სრულებით არ შედის, რომ მეზობლის უსაფუძვლო პრეტენზიები შევიწყნაროთ და ვაკმაყოფილოთ. ჩვენს კეთილმეზობლობას ვამკვიდრებთ ამ პრინციპზე: მეზობლის არ მინდა, მეზობელს ჩემსას არ მივსცემ. ამ ნიადაგზე შეიძლება ლოიალური შეთანხმება და თანამშრომლობა საერთო ინტერესის დასაცავად საერთო მტრის წინააღმდეგ. სომხობას ჩვენ ვუსურვებთ და ვურჩევთ საკუთარი სომხური ტერიტორია, ნამდვილი სომხეთი დაიცვან და ხელი აიღონ კაცისა და ღმერთის ამამხედრებელ უნიადაგო პრეტენზიებზე, რომელიც მას ყოველგან ამარცხებს და ცა და ქვეყანა მტრად აკიდა.

ბორჩალოს ნეიტრალი ზონა დაუყოვნებლივ უნდა დავიჭიროთ.

ინგლისი და სპარსეთი

ინგლისმა უკვე თავისი პროტექტორატი დაამყარა სპარსეთში. სპარსეთი ერთი უძველესი სახელმწიფო, ძველის კულტურით, ფრიად ნიჭიერი ხალხია ამ ბოლო დროს მეტად ჩამორჩა. აზიის ქვეყნებში მხოლოდ იაპონიამ შესძლო სასწაული მოეხდინა, სულ რაღაცა ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეითვისა ევროპის კულტურა და სისტემა საქმიანობისა და აქეთ პირველ ხარისხოვანი ადგილი დაიჭირა მოწინავე ერთა შორის. მას რაოდენადმე მისდევს ძველი, მძიმე ჩინეთი. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათ ვერ აიღეს თანამედროვე ცხოვრების ალღო, ვერ გამოიჩინეს საზოგადოებრივ ამშენებლობის ნიჭი და სწორედ ამის გამო ბევრად თუ ცოტად ევროპიელთა საპატრონოდ გახდენ. უმთავრესი მიზეზი აზიელ ქვეყნების ასეთი დაქვეითებისა უნდა ვეძიოთ მათ ზნეობრივ დასუსტებაში, თუ გნებავთ გახრწნილებაში, როცა ხალხში დაცემულია შეგნება მთლიანობისა, საზოგადოებრივი საქმის თავდადებით სამსახური, პიროქით ყოველგვარ პიროვნულ ინსტიქტს ფართო გზა აქვს გაშლილი.

ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება. პირველ ხანებში აქ ერთმანეთს შეეჯახენ ნაპოლეონი, რომელიც ფიქრობდა ხმელეთით ინდოეთს დასცემოდა და ამისთვის მას სპირდებოდა სპარსეთი და ინგლისი. ხოლო ნაპოლეონის დაცემის შემდეგ ინგლისს სპარსეთში შეხვდა ერთი ძლიერი მეტოქე—ეს იყო რუსეთი. დიდხანს რუსეთის პოლიტიკა სპარსეთში დაშინებაზე და დამონებაზე იყო დამყარებული. ინგლისი კი მხოლოდ ეკონომიურ სფეროში მოქმედებდა და ფრთხილად თავის პოლიტიკას აწარმოებდა. ამ მოქმედებით ინგლისმა ხელთ იგდო ფინანსიური ოპერაციები, მოაწყო მიმოსვლის საშვალებანი წყლით თუ ხმელეთით, გაიყვანა გზები, გააჩაღა ვაჭრობა და წარმოება.

რასაკვირველია, ევროპიელი სხვა და სხვა მიყრუებულ ადგილებში მიდის არა კაცთმოყვარეობით გატაცებული. მაგრამ თუ წარმოვიდგენთ იმ უსაზღვრო უფლებებას, გაჭირვებას, სიბნელეს და სიღატაკეს, რომელშიაც ამ მავარდნილ ადგილების მცხოვრებლები იმყოფებიან, მაშინ ჩვენ ადვილად შეგვიძლია ისიც გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი, გამაცოცხლებელი, გამაფხიზლებელი პროგრესიული მოვლენაა ასეთ ცხოვრებაში ევროპიულ კულტურის შეჭრა. ბოლო ხანებში რუსეთმაც ძირიანად შესცვალა თავისი პოლიტიკა სპარსეთში. ხელი აიღო დაშინების და ომების პოლიტიკაზე და მიჰბაძა თავის განათლებულ მეტოქეს. მისცა სპარსეთის მთავრობას დიდი სესხი, დაარსა საგანგებო ბანკი, გაუგზავნა ინსტრუქტორები ჯარისათვის, ერთი სიტყვით ბოლო დროს რუსები თეირანში ისე პარპაშობდნენ, როგორც თავის სახლში. ინგლისელთა და რუსთა მეტოქეობის შედეგი იყო სპარსეთის გავლენის სფეროებად დაყოფა. საბოლოოდ კი ეს პოლიტიკა სპარსეთს დაშლას უქადდა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის დამარცხებით სპარსეთის მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. სარბიელზე დარჩა მხოლოდ ინგლისი, მასთან საკაცობრიო ომმა დიდი გავლენა იქონია შორეულ ქვეყნებზედაც. ისინი უფრო მჭიდროდ შეუკავშირა, დაუახლოვა ევროპის ეკონომიურად და მასთან ხალხიც, მცხოვრებლებიც გამოაფხიზლა. მათაც გაუღვიძა წინსვლის, განახლების სურვილი. როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში საგრძნობელ გამოღვიძებას ვამჩნევთ. სპარსეთის ხალხი დიდი პოტენციალურ ნიჭის მქონეა. მხოლოდ აზიურმა მონობამ ის თითქოს დასცა და ცხოვრების ხალისი დაუხშო. ინგლისთან მჭიდროდ შეკავშირება დიდ სარგებლობას მოუტანს მას. ყოველ უწინარეს ააშორებს დანაწილებას, რაც აუცილებელი შედეგი იქნებოდა რუსეთის სპარსეთში დარჩენისა, მეორეც, თუ ინგლისი მას გაუწევს ეკონომიურ დახმარებას, მოაწყობს და აამოძრავებს მისი საწარმოო ძალებს, რაც შეიძლება ნაკლებ ჩაერევა მის შინაგან ცხოვრებაში, ხალხი კი ადვილად გამოცოცხლდება და ძველ კულტუროსანი სპარსეთი ინგლისის შემწეობით ეზიარება თანამედროვე ევროპის კულტურას და მოწინავე კაცობრიობას ჯერდში ამოუდგება.

პეტრე სურგულაძე.

ქრონიკა

ხაქართ. სახაზ. რკინის გზების შემოსავალი თან და თან მატულობს მიუხედავათ იმისა, რომ აპრილის შემდეგ ტარიფის ცვლილება არ მომხდარა. აღნიშნული მომატება შემოსავლისა ეიხსნება მოძრაობის თანდათანობით მოწესრიგებით, უბილეთო და უფასო მგზავრობის შემცირებით და სხვა და სხვა ღონისძიებით რკინის გზის მოქმედების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. გზათა დეპარტამენტის ცნობით შემოსავალი ნაღდი ფულით რკინის გზის კასებში (არ არის ჩათვლილი მოკავშირეთა სარდლობის სამხედრო მიმოზიდვისათვის მისაღები ფული) იყო: 1919 წ. აპრილი—12. 927. 616 მან. მაისი—13. 789. 833 მ. ივნისი—18. 445. 055 მან. ივლისი—22. 824. 103 მან.

სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულების განყოფილება აცხადებს, რომ 1 ენკენისთვეს ნაშუადღევის 12 ს. დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, სახელმწიფო ეროვნულ მამულების ჰაჰის გაყიდვაზე. ვაჭრობა დანიშნულია ორ ადგილას: წინანდელის, ნაფარეულის, მუკუზნის, კარდანახის, მანავის და მუხრანის მამულების ჰაჰისა ქ. თბილისში, განყოფილების სადგომზე (პეტრე დიდის ქუჩა № 22) ვარციხის, ორგვეთის, საქარის და ვაჰევის მამულების დაბა ზესტაფონში საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეში. ჰაჰის მოსავალი ნავარაუდევია წინანდელის 5.000 ფ. მუკუზნის 5.000 ფ. ნაფარეულის 3.000 ფ. მუხრანი 2.000 ფ. მანავის 1.000 ფ. კარდანახის 500 ფ. ვაჭრობის შეჯიბრება დაიწყება 50 ჰანეთიდან ფუთზე. მყიდველი, რომელსაც დარჩება ჰაჰა ვაჭრობით, ვალდებულია, შემოიტანოს იმავ დღეს შეძენილი ჰაჰის ღირებულების 10 პროც. გაიტანოს ჰაჰა თავის ხარჯით ბირდა პირ საქაჯავიდან და დააწეროს ყოველ გატანაზე ანგარიში.

თბ. ქალთა მენ-ე გიმნაზიაში გამოცდები დაიწყება სექტემბრის 8-დან და სწავლა-კი 15-დან. თავისუფალი ვაკანსია ყველა კლასშია. გაეროვნებულია პირველი ორი კლასი.

მოძრავი სამკითხველო. სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია, აწყობს დარიალის ხეობაში მდგომ ჯარისათვის მოძრავ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რომელიც იმოძრავებს სადარაჯოდან სადარაჯოზე და მიაწვდის მხედრებს საკითხავ წიგნებს. ასეთ მოძრავ ბიბლიოთეკას დიდი მნიშვნელობა ექნება სადარაჯოზე მდგომ ჯარისათვის. ამიტომ, სექცია უმორჩილესად თხოვს პატივცემულ საზოგადოებას შემოსწირონ ქართული წიგნები და წაკითხული ჟურნალ-გაზეთები. შემოწირულება მიიღება სამხედრო სამინისტროში (ბარიათინის ქუჩ.).

მოძრავი ჯარის-კაცთა უნივერსიტეტი. დუშეთში დაარსდა მოძრავი ჯარის-კაცთა უნივერსიტეტი, სადაც ლექტორები დარიალში და სხვა სადარაჯოებზე იმოგზავრებენ და უკითხავენ ლექციებს კინემატოგრაფის საშუალებით ამისათვის კი აქ შესდგა კულტურულ-განმანათლებელი კომისია, რომლის წევრებია: ნ. ჩიმაკაძე, ალექსიშვილი და ნ. წინვიკაძე

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია სემშაბათს 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ფრეილინის ქუჩა № 11.).

ტელეფონები. ვინაიდან დიდუბის და ნაძალადევის ბანებში სწარმოებს ტელეფონის ნამბების შეკეთება ამ ნაწილებში ტელეფონების მოქმედება 25 ამ თვიდან სამი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იქნება.

საჯარო ვაჭრობა. ცენტრალურ სასურსათო საბჭომ პრეზიდიუმმა დაადგინა 3 სექტემბრისათვის დანიშნოს საბჭოს ქონების საჯარო ვაჭრობა.

პოლ. შარდინის წასვლა. საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი შარდინი ამ დღეებში დროებით მიემგზავრება პარიზისაკენ.

დამფუძნებელი კრების სხდომები. საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობას განაახლებს 15 სექტემბრიდან.

მწერალთა დღეობა. საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი საზეიმო დღეობა, რომელიც დანიშნული იყო 24 აგვისტოსათვის, ცუდი ამინდის გამო მომავალ ხუთშაბათისათვის გადაიდო. დღეობა შევსებული პროგრამით გაიმართება.

რომის პაპის ლეგატი დელფიუში ორი კვირის შემდეგ ჩამოვა ბათომში. ამ ჟამად იგი კონსტანტინეპოლში იმყოფება.

ახალი სკოლები. თანახმად ბორჩალოს მაზრის საქვეყნომოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის კ. სვიმონიშვილის შუამდგომლობისა სახალხო განათლების სამინისტრო ჰბრნის ორ ახალ სკოლას ბორჩალოს მაზრის სოფლებში: რეხასა და ახაში, სადაც 200-დე კომლი ქართველი მშობლიურ ენას ჰკარგავდა.

ახალი დეპარტამენტები. მიწადმოქმედების სამინისტროსთან ორი ახალი დეპარტამენტი დაარსდა სახალხო სამეურნეო და აგრარულ რეფორმებისა.

აბანოების გადაცემა. მიწადმოქმედების სამინისტრომ ქალაქის აბანოები თბილისის ქალაქის თვითმართველობას უკვე გადასცა.

თუთუნის მოსავალი წელს საქართველოს თითქმის ყველა მაზრებში თუთუნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. განსაკუთრებით სოხუმის ოლქში, საიდანაც დიდძალი თუთუნი ჩააქვთ შესანახათ ქუთაისში.

მატარებელი პანსიონით. რკინის გზათა დეპარტამენტმა დაადგინა მოაწყოს ბაქო-თბილისის გზაზე ერთი მატარებელი მთელი პანსიონით.

ტრანზიტის ფასებისათვის რკინის გზათა დეპარტამენტმა დაადგინა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გადახედოს რკინის გზაზე ტრანზიტის ფასებს.

ბოლტ-მოქმედებანი.

ქურდების შეპყრობა სიხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო სასანიტარო ინსპექციის კომანდის ჯარის კაცები: ვარლამ შეწყელია და ექვთ. ხოხაია, რომელთაც ექიმ მგელაძის ბინიდან 150.000 მან. ნივთების მოპარვა ბრალდებოდათ. მათ განაცხადეს, რომ ისინი სისტემატიურ ქურდობას აწარმოებდნენ. და ნაპარავი ნივთები მილიციელ ალ. ქუთათელაძის ბინაზე მიჰქონდათ. გასჩხრიკეს ქუთათელაძის ბინა სადაც აღმოაჩინეს სხვა და სხვა ნაპარავი ნივთები. მილიციელი დაიპატიმრეს.

ქურდობა. კალოუბნის ქუჩაზე მცხოვრებ სოფიო ბერნოვისამ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ 22 აგვისტოს მისი ბინიდან მოიპარეს სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები 6,000 მანეთისა. მილიციის მიერ მიღებულ სასწრაფო ზომების წყალობით, აღმოაჩინეს ზოგი დაკარგული ნივთები და ქურდიც.

— ანასტასია ლიუბარსკისამ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მას მოჰპარეს სხ. და სხ. ნივთები. მილიციის უფროსმა აგენტმა დაატუსაღა: ვარ. შულგინი და მარ. საგინაშვილი, რომელნიც ქურდობაში გამოტყდნენ.

პარტიული ცხოვრება

აგვისტოს 19-ს სოფელ შუა ხარგაში (ზუგდიდის მაზრა) შესდგა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. სოფელი, მდინარე ხობის წყლით, გაყოფილია ორ ნაწილად და არჩეულ იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გერმანიამ საზავო კონფერენციას 3 ახალი ნოტა წარუდგინა: 1) შეეხება მოკავშირეთა „შავფიცრის“ მოსპობას, 2) დაქირავებულ გემებს და 3) საპროტესტოა.

ვილსონმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანია ყველა თავის ახალშენებს. საზავო ხელშეკრულების ძალით მოკავშირეებს გადასცემს.

ანატოლიაში აჯანყება ვრცელდება.

სპარსეთის შახი პრინკიპოში ჩავიდა, სადაც მისი მამა ყოფილი შახი სცხოვრობს.

ინგლისური პრესის ცნობით შესაძლებელია სამხრეთ-ამერიკაში ჩილეთსა და პერუს შორის ომი დაიწყოს.

პოლონელები გერმანიიდან დაბრუნებულ რუსის სამხედრო ტყვეებს სამშობლოში არ უშვებენ.

მთელ ჰუნგრეთში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ესტონელებისა და ბელოხოვიჩის რაზმებმა ასკავი აიღეს.

ნა ორი კომიტეტი. მარჯვენა მხრის უბანში არჩეულ არიან: თავმჯდომარედ შარვან ჯობავა, მდივნად დავით ლაფორავა, მოლარედ იაროსლავ ბერაია. წევრებად პეტრე ბერაია, კოსტა სალაყაია ხუხუ ლიფრრავა და სოფრომ ყვირკველია. მარცხენა მხრის უბანში: თავმჯდომარედ ანდრიკო ლატარია, მდივნად აკაკი მურღულია, მოლარედ აქვსენტი ლატარია. წევრებად: ზოსიმე ლატარია, იაგორა წულეისკირი, პეტრე ნასარაია, ანტონ (გრიშა) გვალია, რომანოზ ფაცია და არქიას გვალია.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ზუგდიდი.

მარიამობისთვის 21-ს, სენაკიდან ზუგდიდში მიმავალ დილიჟანს ზუგდიდიდან 5 ვერსის მანძილზე თავს დეცა ექვსი შეიარაღებული პირი, და მგზავრები მთლად გაძარცვეს. ზუგდიდიდან მაშინვე დაედევნენ ავაზაკებს ზუგდიდის სამაზრო მილიცია და ადგილობრივი სახალხო გვარდია და მათ შორის სროლა გაიმართა. ყაჩაღებმა მოკლეს ზუგდიდის მაზრის კომისარის თანაშემწე ვ. ქებელავა და ერთი მილიციონერი. ორი მილიციონერი მძიმედ დაჭრილია. როგორც ამბობენ ერთი დამცემთაგანიც მძიმედ უნდა იყოს დაჭრილი.

ავაზაკებს შეუკრეს გზები და მოიმწყვდიეს მაგრამ ჯერ არავინ შეუპყრიათ. ავაზაკებს ხელმძღვანელობს ზუგდიდის მაზრაში ცნობილი ყაჩაღი დარასელია.

ქუთაისი

ამანათების გაგზავნა საზღვარგარეთ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის მიერ მიღებული განკარგულების თანახმად 20 აგვისტოდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა მიიღებს ინგლისში, საფრანგეთში, საბერძნეთში რუმინიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაგზავნათ უბრალო და დაზღვეულ წერილებს და აგრეთვე პერიოდულ გამოცემებს. ამანათები გაიგზავნება არსებული ნიხრის გადახდევინებით.

კრება. 20 აგვისტოს შესდგა ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის და ავტონომიურ კომისიების შეერთებული კრება.

„კაპელლას“ კონცერტი. 19 აგვისტოს ქალაქის თეატრში და 20 აგვისტოს მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში“ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის „კაპელლამ“ გამართა კონცერტი. კონცერტი შინარსიანი და ყოველი მხრით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ორივე კონცერტს დიდიძალი საზოგადოება დაესწრო.

„თვალსაჩინო გეომეტრია“. ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა ქუთ. რეალური სასწავლებლის დირექტორის ივ. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი „თვალსაჩინო გეომეტრია“ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პირველი სამი კლასისათვის.

ხევსურეთი.

ჩრდილოეთი ხევსურეთი რომელიც დიდი თოვლის გამო თითქმის სრულიათ მოწყვეტილი არის საქართველოს ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. მათ თავს ესხმიან ქისტები და ინგუშები, ართმევენ უძრავ-მოძრავ ქონებას. ხარკსაც ახდევინებენ. ამის თავიდან ასაცილებლად ხევსურლები შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე ნება მიეცეთ მათ სანაპირო რაზმის შედგენისა. ისევე როგორც თუშებს. მთავრობა ყურადღებით ეპყრობა მათ შუამდგომლობას.

მწერალთა დღეობა

კვირას უნდა გამართულიყო სრულიად საქართველოს მწერალთა დღეობა. დღეობის მომწყობი კომისია შეეცადა ამ დღეობისთვის გრანდიოზული სახე მიეცა. ორი კვირის მზადების შემდეგ გამომუშავებული იქნა პროგრამა და ყველაფერიდან სჩანდა რომ საღამო დიდებულათ იქნებოდა ჩატარებული. საღამოში მონაწილეობას იღებდენ თბილისში ყოფი ყველა ქართველი პოეტები და მწერლები— აგრეთვე სომხები, რუსები, სპარსელები და სხვები. პროვინციიდან აუარებელი ხალხი ჩამოვიდა, რომ საღამოს დასწრებოდა, ვინც ვერ ჩამოვიდა გამოგზავნა დეპეშები, რომელთა რიცხვიც ადიოდა ორმოცდა-ათამდე. საღამოს შვიდი საათისათვის ქართული კლუბის ბაღი არა ჩვეულებრივათ იყო მორთული. მარტო ძვირფასი პლაკატები, შესრულებული საუკეთესო მხატვრების მიერ, ხუთასს აღემატებოდა. სამწუხაროდ 7 საათზე საშინელი წვიმა მოვიდა. საღამოს დაწყება ყოვლად შეუძლებელი გახდა. იგი გადადებულ იქმნა ხუთშაბათისათვის საღამოს მომწყობი კომისია ხუთშაბათისათვის კიდევ აფართოვებს დღესასწაულის პროგრამას. კომისიას ყოველ დღე მოსდის აუარებელი შეწერილებანი. თუ ხუთშაბათს ცუდი ამინდი დაესწრო, საღამო გადატანილ იქნება საზამთრო შენობაში.

მოგზაურობა ზემო-აჭარაში

სომეხთა საინფორმაციო ბიურო ჩვენთვის უცნობ წყაროებიდან იუწყება რომ „ზემო აჭარაში სწრაფად მობილიზაცია ხდება, მობილიზაცია კარგად მიმდინარეობს. მობილიზაციის მიზანი გამოურკვეველია. ცნობა მეტად ორეფოფულ ფორმაშია გადმოცემული, არ არის ნათქვამი თუ ვინ ახდენს ამ მობილიზაციას.

აზერბაიჯანი

მდგომარეობა ბაქოში.

ბაქოდან გუშინ ჩამოსულმა ავტორიტეტულმა პირმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ ბაქოში ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა სუფევს.

ცნობები იქის შესახებ, თითქოს მოხალისეთა ჯარი ბაქოს წინააღმდეგ გამარჯვებით ილაშქრებდეს და წინ მოიწევდეს, სიმართლეს არ შეეფერება. მოხალისეთა ჯარისაგან, ამ ჟამად პირდაპირი საშიშროება აცილებულია. მაგრამ რა იქნება მომავალში, რასაკვირველია წინდაწინ არ შეიძლება ითქვას.

უსუბეკოვის კაბინეთის მდგომარეობა ეხლა უკვე შეიძლება მტკიცეთ ჩაითვალოს. მისი კაბინეტის ორგანიზაციის ფორმა შეირყა იმ სისუსტისა და გამოურკვევლობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა მოხალისეთა ჯარის წინსვლის დროს, მაგრამ ეხლა მას გარკვეული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პროგრამა აქვს და საჯაროდ აცხადებს, რომ იგი ურყევად დგას აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ნიადაგზედ.

საქართველოს მისიის მუშაობაც, ჯერ ჯერობით სასურველად მიმდინარეობს; უკვე ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის მთავრობისა და ჩვენი დელეგაციის რამოდენიმე შეერთებულ სხდომას და ზოგიერთ საკითხში მიაღწიეს კიდეც შეთანხმებას.

ბრიტანეთის ჯარის ევაკუაცია ნელნელა მიმდინარეობს. ბაქოში ჯერ კიდევ იმყოფება ბრიტანიის ჯარის ნაწილები, ხოლო, როგორც უკანასკნელ ხანში გამოირკვა ბრიტანეთის მისიასთან ბაქოში 1509 ჯარის კაცი დარჩება.

ინგლისელების წასვლის გამო.

როგორც აზერბაიჯანი იუწყება, ინგლისელების უკანასკნელი ეშელონი ბაქოდან მარიამობისთვის 26-ს გავა. ამ ჯარის დიდი ნაწილი რამდენიმე ხნით თბილისში დარჩება. ამაზე „ბაკიუზნ“ სწერს, რომ ბაქოში მისიასთან რჩება 1500 ინგლისელი ჯარის-კაცი.

მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლის წასვლა ბაქოდან.

მოხალისეთა სარდლობის წარმომადგენელი ბაქოში პოლკ. პალიკინი მოხალისეთა სამფლობელოში დაბრუნდა მას თან წაჰყვა გენ. რადკო დმიტრიევის შვილი. ბაქოში რჩება მხოლოდ დიპლომატიური მოხელე მოხალისეთა ჯარისა.

ზიმინის ჩამოსვლა.

კასპის იმიერ მდებარე ოლქის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზიმინი რამდენიმე ხნით ბაქოში ჩავიდა.

ხამხედრო ძალების გადაჯგუფება.

საწმუნო წყაროებიდან „აზერბაიჯანს“ აუწყებენ, რომ დარუბანდში მდგარი ყაზახთა რაზმები ასტრახანის ფრონტზე გაიგზავნა, მის მაგივრად მოვიდა ორი ქვეითი პოლკი.

მადლობის გამოცხადება.

ვტოვებთ რა ბაქოს, ვსარგებლობ შემთხვევით, გამოვეცალმო აზერბაიჯანის, კერძოდ ბაქოს მცხოვრებთ ბრიტანეთის ჯარების სახელით. გულწრფელად ვეთხოვებით მრავალ მეგობარს და ნაცნობს და სულით და გულით ვუსურვებთ მომავალში ბედნიერებას. ბრიტანეთის ჯარის ყველა მსახურს თან მიჰყვება ნეტარი მოგონება იმ დროის შესახებ, რომელიც მან აქ, აზერბაიჯანში გაატარა.

ჩვენ აქ ყოფნა შეგვიმსუბუქა ყველა კლასების მეგობრულად მოქცევამ.

ქ. ბაქოს მოკავშირეთა ძალების უფროსი **გენ. შატელვორტი.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება.

ბნელი ძალები არა სწყვეტენ თავის დამღუპველ მუშაობას და ათასგვარ ჭორებსა სთხზავენ ინგლისელების აქედან წასვლის გამო. ადგილობრივ მოქალაქეთა შორის, ეს რასაკვირველია, პანიკას იწვევს და ასეთი მდგომარეობა თავის მხრივ, უფრო შესაძლებელადა ხდის, რომ ათასგვარი პროვოკაციული ცნობები სრულებით დაუბრკოლებლივ გავრცელდეს.

მე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ამით ვაცხადებ ქალაქ ბაქოსა და მთელი აზერბაიჯანის საყურადღებოდ, რომ ბოროტ-მომქმედ ელემენტთაგან გავრცელებული ხმები სრული სიცრუეა და გამოგონილია. გადაწყვეტით ვაცხადებ, რომ არც ვინმეს სიცოცხლე, არც მოქალაქეთა ქონება, განურჩევლად ეროვნებისა და კლასისა საფრთხეში არ არის. მის უზრუნველყოფას კისრულობს მთავრობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონების ფარგლებში. აზერბაიჯანის ხალხი, როგორც ყოველთვის ეხლაც იქნება მშვიდობიანობის დამცველი და მისთვის სრულიად მიუღებელია ის საქმენი, რომელსაც მას აბრალებენ. ყოველგვარი ძალადობა, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს და ვისზედაც არ უნდა იყოს, სასტიკად იქნება ძირში ამოფხვრილი.

მთავრობას საკმაო ძალა აქვს, რომ ძალმომრეობანი მოსპოს.

მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ ბოროტ ელემენტების მიერ გავრცელებულ ხმებს არ აჰყვნენ და განაგრძონ თავისი მშვიდობიანი ცხოვრება და დაიჯერონ, რომ რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის ქონება სრულიად უზრუნველყოფილია.

ინგლისელების შემოწირულება.

ბრიტანეთის სარდლობამ ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების შესწირა 3 ნან. მილიონი მანეთი. აქედან რუსთა საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო 48.000 მანეთი. ებრაელთა 180.000 მ. სომეხთა 210.000 მ. და მაჰმადიანთა 320.000 მანეთი. დანარჩენი ფული გაუნაწილდება ბავშთა თავშესაფარს, ბავშთა საავადმყოფოებს და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებებს.

ინგლისელები და უნივერსიტეტი.

საუნივერსიტეტო კომისიამ ინგლისელთაგან შეიძინა 40.000 მანეთის სხვა და სხვა ინვენტარი, რომელიც მას კომერციულ სასწავლებლის ჰოსპიტალში ჰქონდა დალაგებული. მიუხედავად იმისა, რომ კერძო პირნი გაციცლებენ მეტ ფასს აძლევდნენ ინგლისელებმა მაინც უნივერსიტეტს დაუთმეს. ამის გარდა ინგლისელებმა შესწირეს მრავალი ძვირფასი ნივთი. საუნივერსიტეტო კომისიამ დიდი მადლობა გადუხადა.

ინგლისელთა წასვლა.

მარიამობისთვის 21-ს ბაქოდან გავიდა ინგლისელების პირველი ჯგუფი, დიდი ბრიტანეთის საზღვაო ტრანსპორტის მსახურნი. გამგზავრებულებს მეთაურობს ყოფილი მათი უფროსი კაპ. იანგი.

საზღვაო კონტროლის გადაცემა.

მარიამობისთვის 20-ს შესდგა აზერბაიჯანის, დიდი ბრიტანიის საზღვაო ტრანსპორტის და გემთა საზოგადოების ცენტრალ ბიუროს წარმომადგენელთა საერთო კრება, რომელზედაც გადასწყდა, რომ საზღვაო კონტროლის სამმართველო გადავიდეს აზერბაიჯანის საგზაო მინისტრის მელიქ ასლანოვის ხელში.

საზღვაო ტრანსპორტში.

საზღვაო კონტროლის აზერბაიჯანზე გადაცემის გამო საზღვაო ტრანსპორტის მოსამსახურეებმა თავის ყოფილ უფროსს პოლ. ბრაუნს მადლობა გამოუცხადეს. პოლკ. ბრაუნი თავის კერძო საქმეებზე ბაქოში რჩება.

უოლდროპის მისია

აზერბაიჯანის მინისტრთა თავმჯდომარემ ინგლისელთა შტაბიდან შემდეგი დეპეშა მიიღო.

„მის მაღალ კეთილ შობილებას აზერბაიჯნის მინისტრ—თავმჯდომარეს.

„გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი აგზავნის ამიერ კავკასიაში მისტერ უორდროპს პოლიტიკური მისიით. მას ეკუთვნება წოდება ინგლისის მთავარ კომისარისა.

მიუხედავათ იმისა, რომ ახლანდელი მთავრობანი საქართველოსი, აზერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკისა (ერევნის) ოფიციალურად ცნობილნი არ არიან მისი უდიდებულესობის (ინგლისის მეფის) მიერ, უორდროპს მინდობილი აქვს დაიჭიროს მჭიდრო კავშირი ზემოაღნიშნულ მთავრობებთან, რომელთაც უორდროპის დანიშვნა ეუწყებათ პარიზის კონფერენციაზე მათგან გაგზავნილ რწმუნებულთა საშუალებით.

უორდროპს თან ახლავს შტაბი, რომელშიაც შედიან უეტი, მილიგანი, გრანდი და კიდევ ერთი პირი.

მისტერ უორდროპი ყოველ ღონეს იღონებს, რათა თავიდან აცილებული იქმნას უთანხმოებანი. ამასთანავე იგი დაიკავებს ინგლისის ვაჭრობის ინტერესებს ამიერ კავკასიაში და წარმოადგენს მოხსენებას ვაჭრობის საქმეების შესახებ.“

ბაქოს გაზეთებიდან

დენიკინის სადემარკაციო ხაზი. ინგლისის შტაბის ცნობით ლონდონიდან განკარგულება მოსულა, რომლის ძალით დენიკინის დემარკაციული აზერბაიჯანთან დაწეულია სამხრეთით ისე, რომ შიგ ხვდება მთელი დაღესტნის ოლქი; ახალი სადემარკაციო ხაზი გადის ბაქოს საგუბერნიო საზღვარზე, მდინ. სამურ-ჩაეზე.

ინგლისელები ბათომში. ბაქოდან და თბილისიდან ბათომში ჩასული ინგლისის ჯარები, მათი უფროსების განცხადებით კიდევ 7 კვირას მოიცდიან ბათომში.

ვიდეხონი კავკასიის შესახებ აზერბაიჯანის დელეგაციის ცნობით ვილსონს უთქვამს რომ კავკასიის სახელმწიფოებისათვის უკეთესი იქნება კონფედერაცია მოაწყონ, რომლის მფარველობა „ხალხთა ლიგის“ დავალებით მიენდობა ერთ რომელიმე დიდ სახელმწიფოსო.

სომხეთი

სომხეთი და პარიზის სომეხთა დელეგაცია

პარიზში მყოფ სომეხთა დელეგაციათა თავმჯდომარეებს პოლოს ნუბარ ფაშას და ავ. აჰარონიანს ოსმალეთის სომეხთა პატრიარხისათვის სტამბოლში მემდეგი წერილი გაუგზავნიათ:

ჩვენი მოხსენება ერევნის მთავრობის მიერ მაისის 28-ს გამოცხადებულ აქტის შესახებ პრესაში გამოვაცხადეთ კიდეც“.

ვთხოვთ სომხურ პრესას გადასცეთ ეს მოხსენება, რომელიც ქვემოდ მოგვყავს.

„კავკასიის სომხეთის რესპუბლიკის დამტკიცების პირველ დღესასწაულის გამო ერევნის მთავრობამ მაისის 28 ს იდღესასწაულა სრულიად სომხეთის დამოუკიდებლობა და გაერთიანება. ეროვნულ დელეგაციამ დიდი სიხარულით მიიღო ეს ამბავი, რაც 1918 წ. გიორგობისთვის 12-ს მოკავშირეთა სახელმწიფოებს ეცნობა კიდეც. სახელდობრ: შეერთებულ სომხეთის დამოუკიდებლობა, რომლის ერთი ნაწილი უკვე შემდგარი იყო როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მაგრამ რესპუბლიკის ახალ მთავრობას თავის თავი გამოუცხადებია ამიერ-კავკასიისა და აღმოსავლეთის სომხეთის მთავრობად; ამაზედ ეროვნულ დელეგაციამ დაუყოვნებლივ გამოუცხადა რესპუბლიკის პარიზის წარმომადგენლებს, რომ როგორც პოლიტიკური, ისე კანონიერ მიზეზებით არ არის თანახმა იმ გარემოებაში როგორც ეს მოხდა, ამ აქტის დადასტურებისა. ეს დეპეშით შევატყობინეთ ერევნის მთავრობას. ეროვნული დელეგაცია ემზადება ერევანში გაჰგზავნოს წარმომადგენლები საბოლოოდ შესათანხმებლად. ამისთვის სომხის ერის ყველა ელემენტებს მოუწოდებთ, რომ ამ სერიოზულ საკითხს საბოლოოდ თვით ნუ გადასჭრიან, არამედ დაუცადონ ოფიციალურ ორგანოებს და მისი შედეგი გაიზიარონ.

პოლოს ნუბარ-ფაშა, ავ. აჰარონიან.

(„ჟამანაკ“).

დაღესტანში

მთიელთა მთავრობის დაკემის წინა დღით ამ მთავრობამ დაპატიმრა თემირხანშურაში 15 კომუნისტი და სოციალისტი მაჰმადიანი და რუსი, რომელნიც ფარულ კრებებსა ჰმართავდნენ. დაპატიმრებულთა შორის ერიენ ისეთი ჰოპულიარული პიროვნებანიც, რომელთა სახალიც მიყრუებულ სოფლის მცხოვრებლებშიაც კი კარგად იყო ცნობილი. მაგალითად ბ-ნი ბუინაკელი, კაცი ინტელიგენტი, მშრომელი და სინდისიერი, რომელსაც დიდ პატივსა სცემდნენ მისი უდიერი მოწინააღმდეგენიც კი. კარგამახოვთან ერთად ბუინაკელი რევოლუციის პირველ დღეებიდან ყველა პასუხისმგებელ ორგანიზაციაში მუშაობდა. მისმა და მის ამხანაგების დაპატიმრებამ ისე ააღელვა ხალხი, რომ მთიელთა მთავრობამ იმ წამს დაპატიმრებული გაძლიერებულ დარაჯთა თვალყურის ქვეშ პეტროვსკში გაისტუმრა, სადაც გენ. პრეფეკტურის ნაწილები იდგა. ოფიციალურ განცხადებაში მთავრობამ პირდაპირ აღნიშნა, რომ დაპატიმრებულებს პეტროვსკში ჰგზავნის მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა რომ თემირხანშურაში არსებობდა სპეციალი „სამხედრო სარეოლუციო ტრიბუნალი“ მაგრამ მთავრობის დადგენილებით დაპატიმრებულნი უნდა წარმდგარიყვნენ „სამხედრო შარიათის სამსჯავროს წინაშე.

„ექცესები“ მართლაც მოხდა. ახლო მახლო სოფლების მცხოვრები შეეცადნენ თემირხანშურიდან გაგზავნილები მატარებელს თავს დასხმოდნენ და რაჯებმა ამ ცდას ხელი შეუშალეს. ამას მოჰყვა კიდევ ახალი გართულება. მთიდან ჩამოსულმა, 5.000 კაცისაგან შემდგარმა მთიელთა რაზმმა თემირხანშურას აღყა შემოარტყა მოხდა ბრძოლა და ორი დღის შემდეგ მთავრობის ჯარმა სძლია.

ჩქარა ამის შემდეგ მთიელთა მთავრობა დაეცა.

ეხლა პეტროვსკიდან მიღებულ ცნობების მიხედვით დაპატიმრებულთაგან 5 კაცისათვის შარიათის სამხედრო სასამართლოს დახვრეტა მიუსაჯია, რაც მარიამობისთვის 15 სისრულეში მოუყვანიათ.

დაუხვრეტიათ: ბუინაკელი, ისმაილოვი, აბდულ ვაგანი, აბდულ მეჯიდი და სეიდი.

გერმანიაში

ინგლისური რადიო. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში ამ ჟამად 3 საზოგადოებრივი მიმდინარეობაა: ერთი—ანტისემიტური, მეორე—მოითხოვს სამხედრო ტყვე-გერმანელების რაც შეიძლება მალე სამშობლოში დაბრუნებას. მთავრობა სცდილობს მცხოვრებთა დაწყნარებას. ანტისემიტურ აგიტაციას, რომელმაც დიდი ხანია ფეხი მოიკიდა გერმანიაში, თავისი გამანადგურებელი შედეგები მოყვა, ებრაელთა დარბევის სახით ეს მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერია ბერლინში. პროპაგანდა სწარმოებს გაზეთების ფურცლებზე და ქუჩის პლაკატების საშუალებით და მიმართულია ებრაელების წინააღმდეგ მცხოვრებთა ამხედრებისაკენ. ოპოზიციური ელემენტები მთავრობას აბრალებენ სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების დაგვიანებას და ამით მცხოვრებლებს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ. მთავრობა სცდილობს აღმოაჩინოს ასეთი აგიტაციის წყარო. მიულერი და სხვები ამტკიცებენ, რომ ამ მხრით ყოველი ზომა იქმნა მიღებული როგორც ინგლისში ისე საფრანგეთში.

გოდნევის სიკვდილი

როგორც რუსული გაზეთი „ობშჩეე დელო“ იუწყება, რუსეთის ყოფილი სახელმწიფო კონტროლიორი, მე-3 და მე-4 სათაობიროს წევრი ივანე გოდნევი, ომსკში გარდაიცვალა. რევოლიუციის დაწყებისას გოდნევი დროებით მთავრობის წევრი იყო.

როგესპიერის ძეგლი

ჰეტროგრადის ალექსანდრეს ბაღში იანვარში რობესპიერის ძეგლი დაასრულეს. რამდენიმე დღის შემდეგ ძეგლი უცნობმა პირებმა დაანგრიეს; ძეგლი ხელმეორედ განაახლეს მაგრამ უცნობმა ხელმა კვლავ ნანგრევებად აქცია. ბოლოს დამნაშავე შეიპყრეს, აღმოჩნდა მედუქნე ჩერმუხინი, რომელიც მეორე დღისვე დაჰხვრიტეს.

პერუსა და ჩილეში

(გაზ. „საქართველოს“ ცნობა)

პერუსა და ჩილეში ვდგომარეობა თანდისთანობით მწვავდება, ყოველ დღე ელიან ბრძოლის დაწყებას.

1919 წ-ს საერეკვავი და საინსტრუქტორო გაერდასახადები

ბ-ნ ალექსინდრე ჯაბადრის მოხსენება საგაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტში.

საქართველოს გადასახადთა მმართველობა და თვით ფინანსთა სამინისტრო განიცდიან დიდ გაჭირვებას ეკონომიური არევ-დარევისა და საკუთარ უვალუტობისა გამო.

არსებული საგადასახადო სისტემა, დაკანონებული რუსეთის კანონებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა საქართველო, ვერც ერთ დარგში ვერ შეუფერდეს აწინდელ ეკონომიურ მდგომარეობას. სარგებლობა რაიმე თეორიული სისტემით და ანგარიშით შეუძლებელი გახდა. ნავარაუდევი ბიუჯეტები ქალაქებისა და სახელმწიფოსი ფიქციათ გადაიქცა.

სწორეთ ამასთანა მდგომარეობა თხოულობს სახელმწიფო ფინანსიურ საქმეებში დიდ დაკვირვებას, მეტ კვლევას ხალხის ეკონომიურ მდგომარეობისას, ზედმიწევნით შესწავლას ეკონომიურ მდგომარეობისას, ვაჭრობა-მრეწველობისას, მეტს სიფრთხილეს ამა თუ იმ გადასახადის შემოღებაში, დასაბუთებას ყოველი ახალი გადასახადის საჭიროებისას ან არსებულის გადიდებისას, რათა შემოღებული ან გადიდებული ხარჯის რაოდენობა სწორეშეწონილ იქმნას ხალხის ხარჯგადახდის უნართან, ხალხის ნივთიერ შეძლებასთან, რადგან ყოველი გადასახადი სახელმწიფოს მოიელ ხალხს აწვება.

ყველაზე სახიფათო მთავრობის პრესტიჟისათვის არის გაუფრთხილებლობა ხალხის დაბეგვრაში.

ამისთანა მძიმე დროს, ამისთანა მძიმე ეკონომიურ პირობებში, ვიმეორებ, გაოიკეცებული სიფრთხილეა საჭირო ყოველ გადასახადის შემოღებაში.

ცხადია, რომ არსებული უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობა ქალაქებისა, ერობათა, სახელმწიფოსი თხოულობს განსაკუთრებულ ხარჯს მმართველობათა ყველა აპარატის შესანახად. მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია. სახელმწიფოში შეწყნარება დაბეგვრის უსისტემობისა, დაბეგვრის უფლებათა განუსაზღვრელობისა ქალაქებში ან ერობებში. შეუწყნარებელია სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით ქალაქებს ან ერობათ ჰქონდესთ უფლება დაბეგვრისა, რომლის რაოდენობის შაქსიმუმი არ არის განსაზღვრული უმაღლეს კანონმდებელთა მიერ, ფინანსთა სამინისტროს თანხმობით. შეუწყნარებელია მთავრობის მიერ დაუმტკიცებელ საქალაქო და საერობო ხარჯთაღრიცხვათა განხორციელება. ეს შექმნის ქალაქებში და ერობებში დაბეგვრის ერთგვარ თვითნებობას, უსისტემობას, გადასახადთა სხვადასხვაობას, როგორც თავის ბუნებით, აგრეთვე რაოდენობით, ამნაირი უთავბოლობა და თვითნებობა მიიყვანს სახელმწიფოს გაკოტრებამდე, ხალხს—ამბოხებამდე, ანარქიამდე. ძველი ქართული ანდაზა—ჭამა ქონებაზეა დამოკიდებულია,—ახლა სავსებით უნდა შეეხებოდეს ქალაქებს, ერობათა და სახელმწიფოს; ხოლო რადგან საქალაქო თვითმართველობებიც და საერობოებიც გამოუცდელნი არიან იმისთანა რთული მეურნეობის წარმოებაში, როგორც არის საქალაქო და საერობო, ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს ზედამხედველობა კონტროლი.

უამისოთ, როგორც ზევით იყო ნათქვამი, თვით მთავრობის სალარო ჩავარდება დიდ განსაცდელში, რაკი სხვა და სხვა გადაჭარბებული საქალაქო და საერობო გადასახადები შეუძლებელს გახდიან სახელმწიფოს გადასახადების აკრეფას.

ჯერ-ჯერობით დაბეგვრა მთელი თავის სიმძიმით დაეწვა ქალაქების მცხოვრებთ პირდაპირ ან ალმაცრივ. ალმაცრივ გადასახადათ, გარდა იმ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკები ქ. ონეგასთან

(გაზ. „საქართველოს“ ცნობა)

არხანგელსკსა და მურმანის შუა, ქ. ონეგასთან, ორი ბოლშევიკური ბოლკი აპირებდენ ინგლისელთა პოზიციებზე თავდასხმას, მაგრამ გზა აერიათ და ერთმანეთი ამოჟლიტეს.

საჰაერო ფოსტა ლონდონს და ინდოეთს შორის

(გაზ. „საქართველოს“ ცნობა)

უკვე მოეწყო და მოქმედებას შეუდგა საჰაერო ფოსტა ლონდონსა და ინდოეთს შორის

ბ ა თ ო მ ი

(კავკ სლოვ.)

მუშათა კონფერენცია.

მარიამობისთვის 16-ს საქალაქო გამგეობის დარბაზში შესდგა ბათუმის პროფესიონალ კავშირთა კონფერენცია, რომლის საგნად იყო დღევანდელი მომენტის შესახებ რაიმე აზრის გამოტანა პროფესიონალ კავშირთა წარმომადგენელად გამოვიდა მომხსენებელი, საბჭოს თავმჯდომარე მარკმანი რომელმაც თავის მოხსენებაში შემდეგი განაცხადა:

„ბევი ღრუბლები კვლავ იკრიბება ბათომზე, მას უახლოვდება ჩვენი მოსისხლე მტერი მოხალისეთა ჯარი. ბაქოში ხომ ფლოტის გადაცემა ხდება და ბათომში კი ოფიცერთა და მოხელეთა მობილიზაცია. დენიკინი ხომ მტარვალია და ჩვეს ენერგიულ-პროტესტი უნდა განუცხადოთ მას და მის დამხმარეთ“ო.

მის შემდეგ ილაპარაკა კობიაძემ: ინგლისელთა სარდლობის პოლიტიკა ორმაგია. ერთის მხრით ინგლისელები აცხადებენ რომ მთელი ძალა უფლება მის ხელშია და მეორე მხრივ კი ოფიციალურ გაზ. „ნაშ-კრაის“ ფურცლებზე ისეთი ოფიციალი განცხადება როგორიცაა ოფიცრების მობილიზაციას მისი აზრით ბათომში საბჭოთა მთავრობა უნდა გამოცხადდესო“

ერთ ერთმა ორატორმა სხვათა შორის წინადადება მისცა მუშებს ერთი დღით საპროტესტო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

ბალხიდან გამოვიდა აიოლო, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. პირველად ყოველსა მან პრეზიდიუმს უკიჟინა ის გარემოება, რომ მან აღძრა ასეთი მძიმე საკითხი და თვით კი არა ჰქონდა ამაზე შემუშავებული აზრი. მან განაცხადა წინა ორატორების მიერ აღნიშნულ სამი ორიენტაციის გარდა (საქართველოს, ოსმალეთის და დენიკინის) არის კიდევ ორი ორიენტაცია ბოლშევიკები და „უცხოელები“ შემდეგ განაცხადა რომ საბჭოთა მთავრობა შორს არის და ბათომში სრულიად განუყოფელია რუსეთის ნაწილებისაგან. კომუნიზმი საბოლოოდ მარცხდება და ბათომში მის გაბზრიალებას დიდს განხეთქილებას გამოიწვევს მოსახლეობაში. ინგლისელებზე სთქვა, რომ თუ ისინი ამ ერთი წლის წინად მეტად საჭირონი იყვნენ ოსმალთა წინააღმდეგ ეხლა მათი აქ ყოფნა მხოლოდ რუსეთის შინაური საქმეებში ჩარევას ნიშნავსო.

საქართველოს, რომ შეეხო აიოლომ სთქვა, რომ ბათომში ისტორიულად მასთან არის დაკავშირებული; მხოლოდ საქართველოშია ჭეშმარიტი დემოკრატია რომელთანაც შეერთება შეიძლება მხოლოდ რომ ბათუმში რეაქცია არ შემოიჭრა. მხოლოდ საქართველოსთან მჭიდრო კავშირი, ორატორის აზრით, მისცემს მშრომელთა კლასს ბედნიერებას. აიოლოს სიტყვას მოჰყვა მრავალი სიტყვა გახელებულ ორატორებისა. შემდეგ მარკმანმა წარმოადგინა პრეზიდიუმის რეზოლუცია ბათუმში საბჭოთა დაარსების შესახებ

ამაზე აიოლომ განაცხადა რომ ის რეზოლიუციას არ წარმოადგენს და დარბაზს დემონსტრატიულად სტოვებს. გამოსულ აიოლოს თან გამოყვა მრავალი მუშა.

დარჩენილებმა მიიღეს საბჭოთა რეზოლიუცია 39 ხმით. 7-მა თავი შეიკავა. ამ რეზოლიუციამ რასაკვირველია ქალაქში არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა რადგან იგი რეალ ძალთა განწყობილებაზე მეტად შორსა სდგას.

უცხოეთის ამგვები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

500,000 ოქროს ფული მცირე აზიის განადგურებულ სოფლებისთვის.

პარიზის გაზ. „ტანი“ გადმოგვცემს, რომ, მოკავშირეთ გადაუდვიათ 500,000 ოქროს ფული, მცირე აზიის ჩრდილოეთის ნაწილების ქრისტიან მოსახლეობისთვის.

(„ზაკ.“)

ჯულფა-ნახიჩევანის რკინის გზა.

ინგლისის კონსული თავრიზში დეპეშით იტყობინება, რომ ჯულფის რკინის გზის გაკეთება ხიდის დასრულდა. გასაკეთებელია კვლავ 18 ფუტი და 8 დუიმი რომელზედაც მუშაობა ადგილობრივ თათრებს არ უნდათ.

სომხები ჩინეთში

როგორც ჩინეთიდან ატყობინებენ გაზ. „ნ. აშხატავორს“ ჩინეთის სხვა და სხვა ქალაქებში ცხოვრობს 3000-ზე მეტი სომეხი. მათი არიან მდიდარი სომხები, მილიონერები რომლებიც მოგროვილია 60,000 მანეთზე მეტი

მოკავშირეთა მისიის ცნობა

მარიამობისთვის 21.

ამერიკა და მექსიკა.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატების სამხედრო დეპარტამენტს უკვე მზადა აქვს სამხედრო მოქმედების გეგმა თუ ვინიცობაა მექსიკის წინააღმდეგ კომპანიის წარმოება მოუხდება.

ფიუმეს საკითხი.

ლონდონიდა იუწყებიან, რომ ფიუმეს შესახებ უკანასკნელი აზრი შემდეგი: ტიტონმა გაიზიარა აზრი ფიუმეში თავისუფალ ვაჭრობის შემოღების შესახებ, გადასწყვიტა გაიაროს ლონდონში და ლლოიდ ჯორჯთან ერთად გადასწყვიტოს ამ საკითხის წვრილმანები.

ინგლისელები და ფიუმე.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბრიტანეთის ჯარები ფიუმედან ბუდაპეშტში გადავიდნენ.

რუსეთის ბლოკადა.

ლონდონიდან მოსულ ცნობის თანახმად თემთა პალატაში ხამსვორტმა განაცხადა, რომ რუსეთის ბლოკადა არასდროს არც გამოცხადებულა და არც მოწყობილა.

დ ე პ ე შ ე ბ ი

(ხაკ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 25.

ფრანგული პრესა

გერმანელები და პოლონეთი

გერმანიასა და პოლონეთს შორის ვლადიმირ-ოკიდან სომეხ იტალიელთა სამშობლოში დასაბრუნებლად.

მობილიზაცია იგდირში.

იგდირში სომხებმა თავის ნებით მობილიზაცია მოახდინეს, იწერებიან ჯარში ახალგაზრდები და ხნიანები 40 წლიანამდე. შეიარაღებული სომხები ღამით ყარაულობას სწევენ.

(„ე. ძ.“)

მოსავალი სომხეთში

წრეულს სომხეთში კარგი მოსავალია უფრო კი ალექსანდროპოლისა და ბაიაზეთის ოლქში. ვენახებიც კარგია. ხოლო დასეტყვულია ატამი და სხ.

(„ე. ძ.“)

ერევნის ფასები

მარიამობისთვის 1-დან შეაჩერეს იაფი პურის გაყიდვა მუშებზე. უკეთესი პური იყიდება გირვანქა 7 მ. 50 კაპ., ბაზარში ძროხის და ბატკნის ხორცი იყიდება გირვანქა 10—11 მან., ყველი—გირვ. 20 მ, ერბო გ.—70 მ., სიზამთროს და ნესვის ფასი გირ.—80 კაპ. კარტოფილი გირვ.—60 კ. —1 მ. მანუფაქტურა სრულებით არ არი. გირ. შაქარი 80 მან., შაქრის ჯხენილი 35—48 მ, ასანთი—2 მ. 50 კ.

ბოლშევიკთა ბანდა.

ბოლშევიკთა ბანდა ბაკურიანთან ბ. ბ. ბ. ... ...

სამოქალაქო ომი სილეზიაში.

ლონონი. აგვ. 20. მთელ სილეზიის სამოქალაქო ომი მოელდო. მოკავშირეები შეიძლება იძულებული გახდნენ თავისი სამხედრო ძალებით დაიჭირონ იქ, რათა უზრუნველჰყონ ნახშირის მიღების ნაწილი მაინც, რადგან მთელ ევროპას მთელის სამრეწველო კრიზისი, რომელიც ავსტრიაში და ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში უკვე ზომწიფდა და საკმარისი ნახშირი არ არის, რომ რკინის გზით მიმოსვლა უზრუნველჰყონ. ზარიზმა იხილა ეს მდგომარეობა, რადგან აღმოსავლეთ ექსპერსს თურმე არა აქვს საშუალება მახლობელ აღმოსავლეთთან რეგულიარული მიმოსვლა მოაწყოს. სერიოზულად ეშინიათ ტრანსპორტის დაშლისა. შეიძლება ანარქიამ მოიცვას უზარმაზარი ტერიტორია. ამავე დროს სილეზიაში სამი მოწინააღმდეგე იბრძვის: გერმანელები, პოლონელები და სპარტაკელები. თუ ამ საქმის მდგომარეობას ბალე მოელება ბოლო, ძნელია იმის თქმა თუ მთელ ევროპისთვის რა შედეგები მოყვება მას. ქვანახშირის დამუშავება თან და თან ეცემა. თუ კონფერენცია სილეზიაში ჯარს გაგზავნის, რაც ხუვერის ცნობით, მართალია, მაშინ დაიბადება საკითხი, თუ როგორ მონაწილეობას მიიღებს ამერიკის დელეგაცია ამ ექსპედიციაში.

წერილი ქართლიდან

ცხინვალში თავს იყრის საქართველოს მოსახლეობის სამი ელემენტი: ქართველობა, სომხობა, და ოსები. ერთი შეხედვით კაცმა უნდა იფიქროს, რომ მათ ასეთ შეერთებას ცხინვალისთვის სარგებლიანობის მოტანა შეუძლიანო. მაგრამ აქაური ვითარების მცოდნე აშკარად დაინახავს, რომ მათში საერთო, გარდა ცხინვალის გზებისა, არაფერია, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ოსები იპყრობენ. მეტადრე ცხინვალის ამბოხების შემდეგ, ოსები რაღაც გულჩათხრობილი დადიან, თითქოს არავისთან ლაპარაკსა კადრულობენ, თავისი საქმის მოწყობა განცალკევებითა და სხვების მიუკარებლად უნდათ.

თქმა არ უნდა, მეტია აქ იმაზე ლაპარაკი, თუ რა სურთ, რას ელიან, ვისში ხედავენ ხსნასა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ოსის ბავშვებშიაც კი, გავრცელებული ჰროვოკაციული ხმები, ადვილად შეგაგნებინებთ ოსების სულის სწრაფვას. ვერ ვიტყვით, აქაური სომხობა ამ მხრივ რაიმე დიდს განსხვავებას წარმოადგენდეს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ისინი ოფიციალურად მაინც ქართველებთან ერთად არიან და ყოველგვარ საქმეს ხელჩართულნი აკეთებენ. საერთოდ კი ცხინვალის ხალხი დიდს ფსიხოლოგიურს განცდაშია... „დენიკინს ბაქო აუღია და თბილისს უახლოვდება“, „საქართველოს მთავრობის ნაწილი გადადგა და ოსებსა სთხოვენ მთავრობაში წარმომადგენლები გამგზავნონ“, „დენიკინი, ოსები და სომხები ერთ კავშირს შეადგენენ და სულ ახლო მომავალში საქართველოს დამოუკიდებლობას მოსპობენ“, „ინგლისელებს სომხებისათვის საქართველოს ხარჯზე საზღვრის გაგანიერება აღუთქვამთ“... აი, და მრავალი სხვა, ის ბროვოკაციული ხმები, რომლებიც ხალხში აქა-იქ გაისმის და რომელიც მცხოვრებთა ერთ ნაწილს თუ ბოროტად განწყობილ სიმხიარულეში, მეორეს შესაბრალის მწუხარებაში აგდებს... ყველა რაღაცას მოელის, შიშით სიცოცხლის დღეებს ითვლის და ხსნა ვერაფერში დაუნახავს, როდესაც მეორე მხარე განცხრომაშია და ქართველთა დაცინვით გულს იოხებს, სიამოვნებს... ცხინვალის საქმეთა მართველი ორგანოები ამას აშკარადა გრძნობენ, მაგრამ დანახვა არ სურთ; რაშის თქმა ხომ მათ ძალას აღემატება. პირ აქეთ, ისინი მათი იდეის გავრცელებას ხელსაც უწყობენ იმითი, რომ ადმინისტრაციის ზოგიერთ თვალსაჩინო ნაწილებში მათ საპატიო ადგილს უთმობენ...

და არის გამართული თვალსაჩინო ვაკხანალია...

* * *

ამას წინად გაზ. „ერთობაში“ ვინმე ლიახვისპირელი ცხინვალის შესახებ სწერდა: სანამ კომისრად ვ. ბოცვაძე იყო არეულობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ბ-ნ ციცქიშვილის კომისრად დადგომის შემდეგ აქ სიწყნარე ჩამოვარდა და ყველაფერი წესრიგზეა დაყენებულიო... მე არ შევეხები იმას, თუ როგორი მდგომარეობა იყო ვ. ბოცვაძის (ესეც სოც.-დემოკრატი იყო) დროს, მაგრამ თუ ლიახვისპირელს ბ-ნი ციცქიშვილი წესიერების უაღრეს დამცველად მიაჩნია, ძალიან შემცდარა, რადგან ბ-ნი ციცქიშვილი თვითაც ძალიან ხშირად არის ხოლმე უწესო მდგომარეობაში. აბა რომელ ცხინვალელს არ უნახავს ის ორ დღეში ერთხელ მაინც ძალზე მთვრალი, ისე რომ მის დამშვიდებასა და სახლში წაყვანას სამი ოთხი კაცი ადვილად უძღვებოდეს. მის მილიციონერების უპატიოსნო ქცევას ხომ საზღვარი არა აქვს: მათრახები ისე აქვთ ამუშავებული, რომ ყაზახების დროს მოგანატრებენ... და ასეთი მდგომარეობის შემდეგ ჩვენ ძალიან გვიკვირს ცხინვალელთა მოთმინება და სულგრძელობა.

* * *

ერობის მოწყობის შემდეგ ცხინვალის ხეობაში თითქმის არაფერი ცვლილება არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ორთითისა და ნიჩბის, რასაკვირველია, ფასად დარიგებას. ცხინვალი ისევ გაბრიოკებულია, ღამე მეტად დაბნელებული, სანიტარია და მედიკური დახმარება მეტად უმწეო, გზები უარესად გაფუჭებული. ეჭვი არ არის ახალი გზების გაყვანას ასე უცებ ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ის, რასაც ორიოდე დღის მუშაობა სჭირდება უსათუოდ ყურადღებას საჭიროებს: გორისა და ცხინვალის შემაერთებელი გზა ვეება ქვა-ლოდებით არის გაჭედილი; გვერდით მიმავალი სულ ჭატარა მდინარე ამ გზას მოუვლელობის გამო შავ ზღვად მოვლინებია; ცხინვალში ჩასასვლელი „ზღუდრის“ გვერდა, სადაც ჩასვლაზე ეტლით მიმავალთ არა ერთი უბედურება სწვევიათ, უფრო და უფრო ფუჭდება და მგზავრებს ახალ საფრთხეს უმზადებს; ამ გზებზე ყოველ თვეში სხვა და სხვა ავტომობილები იმსხვრევა (აბობენ მოჯიბრე მეეტლეები გზას ძალით აფუჭებენო) და ჯერ მაინც არა სჩანს მოელება ბოლო ასეთ მდგომარეობას თუ არა. სასწავლებელი და მეტადრე თეატრი ხომ სულ მივიწყებულია. სკენის სასარგებლოდ ამ ათეული წლის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულ აუარებელი წარმოდგენები იმართება, ფარდა და დეკორაციები იკერება და დღეს შარშანდელი აღარასფერია, ყველაფერი ყველას სათრეველად გადაქცეულა... ჩვენის აზრით ერობას ამისთვისაც უნდა ეპატრონებინა...

ამის გარდა ერობა არც მოსავლის შემყურეთადმი იჩენს დიდს ყურადღებასა და სამართლიანობას. ამ აზრის დაშტკიცება ადვილია იმ გარემოებით, რომ ამ დღეებში მოხდა გადასახადის გაწერა და დღესაც გამოურკვეველია, თუ გამწერი კომისია გაწერის დროს რას იღებდა მხედველობაში; ზოგ დიდი შემოსავლის მქონესათვის იმდენი გადაუწყვეტია, რამდენიც მცირეს ჰატრონისათვის; ზოგი მცირესათვის კი უფრო მეტი, ვიდრე მეტის მქონესათვის... ეს გადაჭარბებული არავის ეგონოს; ამის საბუთებს სოფ. დგვრისის (ცხინვალის გვერდზეა) მაგალითებიც საკმარისად მოგვცემენ...

ასეთია დღეს მდგომარეობა ცხინვალისა. ამას ყველა უბრალო თვალით დაინახავს. და თუ ამ მხარის მეთაურები ამისათვის ყურს არ იბერტყენ, ეს იმიტომ რომ თითონ „თავი ქუდში აქვთ“ და სხვები კი „თუნდ სულ ერთ დღეს გაწყვეტილან“...

ასეთების ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედი...

ზიხ. კიაზოშვილი.

აფიცერთა და მოხელეთათვის

ამას წინად „საქართველოში“ დაბეჭდილ წერილს „სათაურით „ჯარი“ საჭიროდ ვრაცხვ ჩემ მხრივ ორიოდე სიტყვა დავსძინო.

რუსეთის კანონით შტატ-გარედ დარჩენილ აფიცრებისა და მოხელეთ მთელი წელიწად ნახევარი ჯამაგირი ეძლეოდათ. ამით სამსახურს გარედ დარჩენილი მთელი წელიწადი ეძლეოდა საცხოვრებელი, უეჭველია იმ მოსაზრებით, რომ ამ ხნის განმავლობაში რაიმე სამსახურს ან საზოგადოდ რაიმე საქმეს იშოვნიდნენ და მისი ძებნის დროს საზრდოობის მხრივ დიდს გაჭირვებას არ გამოიცდიდნენ.

შტატ-გარეთ დარჩენილისთვის რუსეთის უზარ მაზარ სახელმწიფოში რაიმე სამსახურის შოვნა ძნელი არ იყო და ერთი წლის ვადაც ამ სამსახურის შოვნისთვის საკმაო იყო. პრაქტიკიდან ვიცით, რომ მეტი წილი შტატ-გარეთ დარჩენილებისა რამდენიმე თვეში ჰშოულობდნენ ახალ სამსახურს ანუ სხვაგან, ანუ კიდევ, და ხშირადაც, იმავე დაწესებულებებში, სადაც შტატ-გარეთ იყვნენ დარჩენილნი. ამ გვარად, რუსეთის კანონი შტატ-გარეთ დარჩენილთათვის გონივრული და ლმობიერიც არის.—და რაკი საქართველოს რესპუბლიკა ჯერაც რუსეთის კანონებით ხელმძღვანელობს, ამ შემთხვევაში,—თუ უფრო ლმობიერად არა,—იმ კანონით მაინც უნდა ეხელმძღვანელა.

მაგიერად, რას წარმოადგენს საქართველოს შტატგარეთ დარჩენილი ოფიცრებისა და მოხელეთათვის. შეთხზული კანონი? თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ძველ რუსეთთან შედარებით მეტად პაწაწა ქვეყანაა; მისთვის ერთი ათასად და მეტადაც ნაკლები მოხელეა საჭირო; ყველა დაწესებულება ბევრი ზედმეტი მოხელეთი არის დატვირთული; ამ ჟამად ცხოვრებისათვის მეტად ძნელი დრო, და ისიცა კიდევ, რომ აფიცრად, და სასამოხელოდ ვარგისად უფრო ერთი ჰარტიის ხალხი არის მიჩნეული,—განურჩევლად, შესწევს თუ არა ნიჭი და ცოდნა ამ სამსახურისათვის,—მაშინ ის-ღა გვრჩება ხელში, რომ შტატგარედ დარჩენილი საქართველოში პირდაპირ გარიყულ-გადაგდებულია, და მას ოჯახობით სიმშილი აქვს განჩინებული, რადგან, ნუ დავიწყდებათ, ამ გადაგდებამდის მას, რაც მაშპაპისაგან გაჰყვრებაში სარჩენად ჰქონდა დატოვებული—უკვე წარსტაცეს. ამ გვარად გამოდის, რომ საქართველოს კანონი, თუ დადგენილება, შტატგარეთ დარჩენილთა საზრდოობისათვის, რუსეთის ამგვარსავე კანონთან შედარებით, მეტად ულმობელია და ყოველივე საჭირო მოსაზრებას მოკლებული.

ამისთანა სათუთი საქმისთვის კანონი მეტ-ი მოფიქრებითა და ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა იყოს დადგენილი. ამიტომაც საჭიროა იგი კანონი გადასინჯული იყოს საქართველოს ყველა გარემოების და მდგომარეობის მიხედვითა და უფრო სამართლიანი და ლმობიერი თვისება მიეცეს მას—თუნდა რუსეთის თანაბარ კანონთან შეფარდებითა. ამით საქართველოს ბაზინა არ დაიღუპება, ოღონდ სხვა მხრივ ჯავუფრთხილდეთ მას. ისიც ვგულისხმობ, რომ ჩვენს ჯარს და მის აფიცრობას დიდი მამულიშვილური ღვაწლი გაუწევია სახელმწიფოსთვის და კვლავაც მოველით მათგან ამ სამსახურსა.

თავისუფალი მეთვალყურე.

საქართველო 1802—1820 ოლეგოი

იულონმა და ფარნაოზმა იმერეთში რამდენიმე ათას კაცს შოუყარეს თავი, რაჭაში ავიდნენ და იქ დაბანაკდნენ. აქ მათ ახალციხიდან უნდა მიმატებოდა ლეკთა ჯარი. ცოტა ხნის შემდეგ, ბატონიშვილები ქართლს გადმოვიდნენ, პერანგას მთის ტყეებში დაბანაკდნენ—მდინარე ფრონის-ხეობაში. მათ მარტო 60 ქართველი ჯარის-კაცი და ორი ლეკი მოიყვანეს. იმერეთის ჯარის ერთი ნაწილი სოფ. ჭალას დასტოვეს ქაიხოსრო წერეთლის უფროსობით, მეორე ნაწილი რაჭას დარჩა სოლომონ მეფის უფროსობით. ბატონიშვილებს უნდოდათ ფრონის-ხეობის უფროსები თ-დ ფალავანდიშვილები და ლიახვის ხეობის—მაჩაბლები მიემხროთ. ერთი სიტყვით, იულონს არ ეძინა და ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა, როგორმე რუსები გაეძევებინა საქართველოდან, მაგრამ მას ზოგიერთნი ჩვენი ბრწყინვალე თავადები ხელს უშლიდნენ, ისინი მზად იყვნენ ერთ სისხლის ორდენზე იულონიცა და მთელი სამშობლოც გაეყიდათ. ისინი ყველაფერს ჩუმად ჰოდპოლკ. სიმონოვიჩს აგებინებდნენ. იულონი ისევ იმერეთს დაბრუნდა, განიზრახა ახალციხეს გადასვლა და იქიდან კახეთს. ესეც გაიგეს რუსის გენერლებმა და მტკვარზე და ქსანზე ფონები დაიჭირეს.

ამ დროს მთიულეთში მოძრაობამ იჩინა თავი.

საქართველოს სამხედრო გზის კეთება მთიულებს დაატყდათ თავზე, რუსის კაპიტან ისპრავნიკების უმსგავსო ქცევამ ყოველივე საზღვარს გადაჰარბა, სამუშაო ფულს, მუშებს არ აძლევდნენ, საგზალი რაც მოქონდათ თან იმასაც რუსის ჯარის კაცები ართმევდნენ და სჯამდნენ. კაპიტ. ისპრავნიკები მათრახებით ადგნენ თავს მუშებს და ტყავს ძარიბდნენ, ცოლების გაუპატიურება ხომ უბრალო ჩვეულებად გახდა. მარტო ერთ სოფელში ცემისაგან 25 კაცი გარდაიცვალა. მოთმინების ფიალა ივსო, ბოლმა ყელში ებჯინებოდათ. მთიულეთი იარაღს ისხამდა და შერჩეულ დროს უცდიდა. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა მთიულმება ბარით ერთი კაპიტანი ისპრავნიკი შოჰკლეს, მკვლელის აღმოსაჩენად რუსებმა ერთი როტა გაგზავნეს და სწორედ ამას მოჰყვა მთიულეთის მხრივ ჰირველი თოფის გრიალი. სამხედრო გზაზე მთიულებმა რუსის ყარაულები სრულიად აშოსწყვიტეს, ბევსურებიც ძირს ჩამოვიდნენ, კაიშაურის საყარაულო აიკლეს და 17-ყაზახი რუსი აკუწეს, სიკვდილს მარტო ორი გადარჩა, რომლებიც სრულიად ტიტვლები სადღაც მიიმალენ.

„ჩვენ ღმერთსა ვსთხოვდით უთვლიდნენ მთიელები. რუსის მთავრობას, საქართველოში რუსის მართვა-გამგეობა დამყარებულიყო, ეხლა-კი ღმერთსა ვსთხოვთ რათა ჩვენ შოგველინოს რაიმე ჭირი, თუ ჭირი არ მოგვევლინება, მაშინ სახლებში უნდა შევრეკოთ ჩვენი ცოლშვილი, წაუკიდოთ ცეცხლი და ჩვენც შიგ ჩავცვივდეთ, ოღონდ კი გადაურჩეთ ამ საშინელ წვალებას და არ უცქიროთ ჩვენი თვალით ჩვენი ცოლების გაუპატიურებას“. ოსებმა სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) აღყა შემოარტყეს რუსის 34 ჯარის კაცს და დაატყვევეს, მასთან ერთად დაატყვევეს სტეფანწმინდის უფროსი მაიორი ყაზბეგი და სთხოვეს მიეღო მათი უფროსობა, მაგრამ რუსების ერთგულმა მაიორმა ყაზბეგმა უარი სთქვა, რის შემდეგ მას დიდი კონტრიბუცია დაადეს. ამავ დროს, კავკაზიდან საქართველოში მოდიოდა ყაზახთა ერი ი ცხენოსანი პოლკი, მთიელები მათ დაეცნენ, ცხენები სულ ამოუხოცეს და ნახევარზე მეტი ყაზახები აკუწეს.

სწორედ ამ ამბოხებით უნდოდა იულონს ესარგებლა და მთიულეთისაკენ კიდეც გაეშურა.

ცხინვალში მყოფმა რუსის ჯარის უფროსმა შტაბს-კაპიტ. ნოვიცკიმ ჯაშუშების საშუალებით გაიგო იულონის მთიულეთისაკენ გამგზავრება, მისი ბანაკიც უჩვენეს. ნოვიცკი ღამით ორის მხრიდან დაეცა იულონის ბანაკს (29 თებათვეს, პეტრე-პავლობის დღეს) ბატონიშვილმა ფარნაოზმა გაქცევით უშველა თავს იულონი კი ცოცხლად იგდო ხელში, რუსის ჯარის კაცებს უნდოდათ მისი ბიზტეგზე აგება, მაგრამ მისმა ერთგულმა ფარეშთ-უხუცესმა დავით აბაზაძემ გადაარჩინა სიკვდილს. აბაზაძე იულონს გადაეფარა, მოქნეული ხიშტი მას საფეთქელში მოხვდა. იულონი თბილისში ჩამოიყვანეს. ამ დროს აქ ციციშვილი იყო მთავარ-მართებლად, რომელიც სიბერულით ფეხზე ალარ იდგა. იულონს დღიურ ფულად 25 კაპ. დაუნიშნეს, როგორც უბრალო ტყვეს, მხოლოდ შემდეგ 10 მანეთი გაუზადეს.

იულონი მოსკოვში გადაასახლეს, სადაც თვისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა.

ავ. აბესაძე.

ბიბლიოგრაფია

არითმეტიკის ამოცანათა კრებული და სახელმძღვანელო, ნაწ. I. რ. ხუციშვილისა და დ. პარკაძისა „განათლებისა“ ამხანაგ. გამოცემა. ქუთაისი, 1918 წ. ფასი 8 მ. და 18 შაური.

ეს კრებული შესდგება თვით კრებულისა და არითმეტიკის მოკლე სახელმძღვანელოსაგან. ყოველივე მოქმედებას წინ უძღვის საკმარისად ვრცელი ახსნა-განმარტება. ეს ახსნა-განმარტებანი დაწერილია მკაფიო ქართულით და თავის შინაარსით შეეფერება მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას. მხოლოდ ზეპირ-აღრიცხვაში, საჭირო იყო ხაზგასმით აღნიშნულიყო ჩვენი მრიცხველობის ოცეულობით თვლის თავისებურება, მაშინ § 13-ორათებზე და სამეთებზე რომ არის ლაპარაკი, საჭირო არ იქნებოდა, § 18 კი დაემატებოდა ეს ოცეულობით თვლის თავისებურება § 20 სწორედ არ არის ახსნილი, თუ საიდან წარმოსდგა თერთმეტი, თორმეტი და სხვა, თერთმეტი წარმოსდგა სიტყვა ათ ერთ-მეტი“-საგან, (და არა ათი და ერთი) თორმეტი—„ათ-ორ-მეტი“-საგან (და არა ათი და ორი. და სხ.).

აგრეედვე რომაულ ნიშნებით დაწერილ რიცხვების წაკითხვის წესი სრული არ არის: მაგალ. სახელმძღვანელოში სწერია „თუ რომელიმე ციფრი დაწერილია მეორე ციფრის მარცხნივ, მაშინ პირველი მეორეს გამოვაკლოთ“. უნდა დაემატოს. თუ მარცხნივ დაწერილი ციფრი მცირეა მარჯვნივ დაწერილზედ. მაგ. IV ან VI ამ მაგალითში პირველად ერთი უნდა გამოვაკლოთ, მეორედ კი უნდა მიეტოთ. მოქმედებათა განმარტებანი შესაფერისნი არიან. მაგ. გამოკლებისთვის სამ ნაირი განმარტებაა. გაყოფის დროსაც ახსნილია, თუ რას ვეძებთ, სამრავლსა თუ მამრავლს, და აქაც თვითეული შემთხვეისათვის ცალკეა ამ მოქმედების განმარტება. მხოლოდ ტერმინი გაყოფა გაზომვა (როცა მამრავლს ვეძებთ) მოსწავლეთათვის გაუგებარი იქნება. ხარისხად ყოფანას ავტორები ხარისხში ამაღლებას ეძახიან, რაც არ არის შესაფერი ქართული ენისათვის. ყოველივე მოქმედებინ დროს ნაჩვენებია მოკლე საანგარიშო ზეპირად გამოსაანგარიშებელი ხერხები, მაგ. თუ გვსურს რომელიმე რიცხვი გავამრავლოდ 5-ზედ, ეს რიცხვი უნდა გავამრავლოდ 10-ზე და გავყოთ 2-ზე. ამისთანა საშუალებათა ფრიად სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს.

ამოცანები და წესები დაბეჭდილნი არიან ერთნაირი შრიფტით. საჭიროა ამოცანების წესებიდან გამოყოფა: ან ყველა წესები წიგნის ბოლოში ერთად უნდა დაიბეჭდოს, ან არა და წესები მოწვრილო ასოთი უნდა დაბეჭდილიყო, ამოცანები კი მომსხოთი. მაშინ ადვილი იყო წიგნით სარგებლობა.

ამოცანები განიყოფებიან ზეპირ ამოცანებად და წერით ამოცანებად. ზეპირად სწრაფი ანგარიშისათვის საჭიროა სათანადო ვარჯიშობა, და ამ კრებულის დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ის ჯარეშოება, რომ ზეპირ სავარჯიშოებსაც მიაქცია ყურადღება. წერითი ამოცანები თავისის შინაარსით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ავტორნი ცდილან (და უნდა ვსთქვათ სისწორე, რომ ეს პირველი ცდაა) ამოცანათა შინაარსისათვის აეღოთ ისეთი ცნობანი რომელიც შეეხებიან საეკონომიო თუ საისტორიო ცხოვრებას. აქ არის მოყვანილი ცნობანი საქართველოს მცხოვრებთა რიცხვზედ, ადგილ-მამულზედ, ნახნაგ-ნათესაობაზედ, და სხვა, ამოცანებში არის ნაჩვენები თუ რა დროს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, როდის გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი ან დაიწერა პირველი ორიგინალური პიესა და სხვა. ერთი სიტყვით ამოცანათა შინაარსი საქართველოს ცხოვრებას გარს დასტრიალებს. ერთი ფრიად დიდი ნაკლი აქვს ამ კრებულს: მასალა ვერ არის სათანადოთ დალაგებული. აქ მასალა დალაგებული არა სირთულის მიხედვით, არამედ მოქმედებათა მიხედვით. მაგალ. შეკრების დროს კრებული გადის მასალას ჯერ განყენებულ და მარტივ სახელდებულ რიცხვებზედ და იქვე შემდეგ რთულ სახელდებულ რიცხვებზე, აგრეედვე სხვა მოქმედებებზედაც. ასეთი დალაგება მასალისა საქმეს ძალიან ართულებს. მოქმედებანი განყენებულ და მარტივ სახელდებულ რიცხვებზედ უფრო საადვილოა, ვიდრე მოქმედებანი რთულ სახელდებულ რიცხვებზედ. ამისთვის მასალა უნდა დალაგებულიყო სირთულის მიხედვით ასე:

ჯერ ყველა მოქმედებანი განყენებულ რიცხვებზედ, შემდეგ კი ყველა მოქმედებანი რთულ სახელდებულ რიცხვზედ ასე დალაგებული მასალა მეტ წესს შეიტანდა მის შეთვისებაში, ვიდრე ამ მასალის დაქსაქსვა განყენებულ რიცხვების მოქმედებებში. მასწავლებელს ეხლა შეუძლიან თითონ დალაგოს ეს მასალა გავლის დროს.

კრებული დაწერილია მშვენიერი ქართული ლიტერატურული ენით, და მასალის შერჩევით კარგ კრებულად უნდა ჩაითვალოს.

გიორგი ბურჭულაძე.

სამეურნეო ფაკულტეტი სახ. უნივერსიტეტში

ამ სამოსწავლო წლიდან სტუდენტთა ერთი ჯგუფის თხოვნით ქართულ უნივერსიტეტში იხსნება მესამე კურსი აგრონომიულ განყოფილებისა (ლექციების კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე).

ჯგუფი მიჰმართავს სამეურნეო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ყველა სტუდენტებს, რომელნიც ვერ მიდიან რუსეთში, ისე თბილისის პოლიტეხნიკუმის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს დაუჭირონ მხარი მესამე კურსის გახსნას. რადგანაც პროფესორები მოწვეულ არიან კიდეც და საჭიროა სათანადო ლაბორატორიების გასახსნელად მზადება, ამიტომ თხოვნები მიიღება 30 მარიამობისთვემდე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. - ცნობების მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციაში.

ღია წერილი

ქალაქის თვითმართველობის გამგეობას.

ალბად მოგეხსენებათ, რომ დღეიდან ტრამვაის ფასის გადიდებისა კონდუქტორების ჩანთებში ათშაურიანები სრულიად გაჭრნენ და მანეთ ნახევრის მაგივრად ახდევინებენ 2 მანეთს. ჩემი გამოანგარიშებით ერთი კვირის განმავლობაში მარტო წყნეთის ჩაზე მომუშავე ტრამვაიზე ზედ მეგადვიხადე 11 მ. 50 კ. მხოლოდ ჩემთანა მოსიარულე ასობით და ათასებით არის, რაც ამტკიცებს, თუ რა დენი ფული რჩება სრულიად უშრალოდ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ან 1-50. ბილეთი დეს ორი მანეთი, რომ ფული ქალაქმაინც მიემატოს, ან არა და საჭიროა ტრამვაიმ გამოსცეს თავის ბონი 50 კ. რომელიც ისევ ტრამვაიზე უნდა იქნეს მიღებული...

უიმედო მოქალაქე.

მიმოსვლა
სახალხო მატარებლები
ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.
ქუთაისში	№ 10	9 საღ.	8 ს.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 5
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 3

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. -
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 4
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 1
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 3
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 0

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი

გ ა დ ი ს

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და [illegible] დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, [illegible] 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის [illegible] მე და კვირა დღეებში, 2 წყვილი [illegible] მე და უქმის წინადღეებში.

საქმიმოქ. კაბინეტი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილისი და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთ (606 და 914 წამლობა) მიხეილის ავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პალატა ხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ [illegible] ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევ[illegible]
საათ 25—2536—1

ბ. ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა, გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, [illegible] სინჯვა და წამლობა X ს სხივებ[illegible] დიდი სალენიანიდი და [illegible]ესევალის [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა [illegible] ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ[illegible] უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—[illegible] საათამდე და საღამოს 5—8 საათამ[illegible] ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 14-[illegible] 7-92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალ. ბერიძისა
**ბ. ბ. ბ.